სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

KA030620877201420

18 / თებერვალი / 2020 წ. **თბილისი #06-37/ო**

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილებით გათვალისწინებული „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის და „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის№169 დადგენილებით გათვალისწინებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გამოსაყენებელი წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილების (თავი II, მუხლი 10, პუნქტი 3), „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილების (თავიII, მუხლი 9, პუნქტი 3) და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამით შესყიდული, იმუნიზაციის წარმოებისათვის საჭირო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცების და უსაფრთხო ყუთების), სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების მიმღებად რეგისტრაციის ფორმები და მათი შევსების წესი და „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ქალაქ თბილისში პირველად ჯანდაცვაში ინტეგრირებული სკრინინგის მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის, საანგარიშგებო ფორმები და მათი შევსების წესები, თანდართული დანართების შესაბამისად:

ა) დანართი N1ი - რეგისტრაციის ფორმა;
ბ) დანართი N2ი - პროგრამის მიმწოდებელთა ნუსხა;
გ) დანართი N3ი - რეგისტრაციის ფორმების შევსების წესი;
დ) დანართი N 2 - იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში სარეგისტრაციო ფორმა;
ე) დანართი N 1- C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგის მიმღებად რეგისტრაციის ფორმა;
ვ) დანართი N 2 - C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგის მიმღებად რეგისტრაციის ფორმის შევსების წესი;
ზ) დანართი N 1- C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგის საანგარიშგებო ფორმები;
თ) დანართი N 2 - C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგის საანგარიშგებო ფორმების შევსების წესი.

2. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.

3.ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ტურძილაძე.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე